

Thursday 28 February 2013

- [ჩვენ შესახებ](#)
- [კონტაქტი](#)
- [გამოკითხვა](#)
- [მთავარი](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [საზოგადოება](#)
- [გეოპოლიტიკა](#)
- [რეგიონი](#)
- [თვალსაზრისი](#)
- [დიპლომატიური კორპუსი](#)
- [ვიდეო](#)
- [აუდიო](#)

» Uncategorized » ნამახვანის ჰესის მშენებლობის პროექტი ჩავარდა

ნამახვანის ჰესის მშენებლობის პროექტი ჩავარდა

- February 9, 2012,
- Uncategorized
- [კომენტარი](#)
-

-A +A

Like

Be the first of your friends to like this.



კორეელების შემდეგ თურქი ინვესტორებიც გაიქცნენ, ხოლო ნამახვანის კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით ახალი კონკურსი

გამოცხადდა“ – წერს გაზეთი „რეზონანსი“.

გაზეთის ცნობით, „ნამახვანის ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასა და თურქულ-კორეულ კონსორციუმს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი 2009 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა. მემორანდუმს ხელი საზეიმოდ პრეზიდენტის სასახლეში მოეწერა. კონსორციუმმა ვალდებულება აიღო, რომ კასკადის მშენებლობას 2011 წელს დაიწყებდა და პროექტის განხორციელებისთვის მილიარდ დოლარამდე ინვესტიციას ჩადებდა“

როგორც გამოცემა წერს, კონსორციუმი თურქული და კორეული კომპანიებისგან შედგებოდა. მოულოდნელად კორეულმა კომპანია „KEPCO“-მ კონსორციუმი დატოვა.

„რამდენიმე თვის წინ ენერჯეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე მარიამ ვალიშვილი „რეზონანსთან საუბრისას“ აცხადებდა, რომ კორეელებთან მოლაპარაკებები ისევ გრძელდებოდა და კონსორციუმიდან კორეელების წასვლა ბოლომდე გადაწყვეტილი არ იყო. საბოლოოდ როგორც აღმოჩნდა, ენერჯეტიკის სამინისტრომ ვერც კორეული ინვესტორების დაყოლიება ვერ შეძლო და ამასობაში ნამახვანიდან თურქებიც გაიქცნენ“ – აცხადებს გამოცემა.

„რეზონანსის“ ცნობით, ენერჯეტიკის სამინისტროს ვებ გვერდზე უკვე დევს განცხადება და ახალ ინვესტორს ეძებენ.

„კონტრაქტორის შერჩევის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი იქნება მსგავსი სირთულის პროექტის წარმატებულად შესრულების გამოცდილება“ – წერს გამოცემა, მისივე ცნობით უნდა აიგოს სამი ჰესი და გადამცემი ხაზი, ამისათვის ინვესტორმა 800 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

„შემოდგომას ნამახვანის ჰესის მშენებლობისთვის რამდენიმე სოფლის გასახლება უკვე გადაწყვეტილი იყო. ამ საკითხზე თურქული კომპანიის წარმომადგენლებსა და მოსახლეობას შორის შეხვედრაც კი შედგა, ასევე სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა დისკუსიები ენერჯეტიკოსებთან, ამიტომ თურქების წასვლა მოულოდნელი აღმოჩნდა, თუმცა ჩაშლილი გარიგებები დღეს აღარავის უკვირს“ – აცხადებს ავტორი.

გამოცემის ცნობით, გარემოს დაცველები არ ამართლებენ ნამახვანის ჰესთა კასკადის მშენებლობას და პროექტს დაუსაბუთებელს უწოდებენ, ასევე მიიჩნევენ, რომ არ არის გათვლილი ყველა რისკი.

„მწვანე ალტერნატივის“ თავმჯდომარის მანანა ქოჩლაძის ინფორმაციით, გარდა იმისა, რომ ნამახვანის კასკადის მშენებლობით 14 სოფელი დაზარალდება, და დაიტბორება 924 ჰექტარი მიწა, „ასევე ზიანი მიადგება ხვამლის ნაკრძალს, რომელიც ტვიშის რეზერვუარიდან 100 მეტრშია, აქ ისეთი მღვიმეებია, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი კულტურული დატვირთვა აქვს. რეზერვუარები შეიქმნება რიონის გასწვრივ 27 კილომეტრზე, ეს ნიშნავს, რომ მდინარის ეკოსისტემა სრულიად შეიცვლება, ასევე შეიცვლება კლიმატი, გააქტიურდება ქარები.“

„პროექტი ტექნიკურად დაუსაბუთებელია. ეს არის 70-80-იანი წლების პროექტი, რომლის განხორციელებაზე უარი ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამ თქვა... მე მაინტერესებს ამ

ტექნოლოგიებით თურქები თუ საკუთარ ქვეყანაში არ აშენებენ ჰესებს, რატომ უნდა აშენდეს საქართველოში. რისკის ფაქტორი არის ძალიან მაღალი, თუნდაც სეისმური თვალსაზრისით“, – აცხადებს ნინო ჩხოზაძე და ფიქრობს, რომ თურქები ან საკომპენსაციო თანხებმა და დამატებითმა ხარჯებმა შეაშინა ან გეოლოგების დასკვნებმა.

მომამზადა თაია მახარაშვილმა გაზეთ “რეზონანსის” მიხედვით

opinion.ge

Share 0

Like Send

Be the first of your friends to like this.

Tags: [პრესა](#)

დაწერე კომენტარი

სახელი (აუცილებელია) ელ-ფოსტა (აუცილებელია)

ვებ-გვერდი კომენტარი

[«სალამოს 8 საათის შემდეგ ყვითელი ავტობუსები აღარ იმოდრავებენ ზურა ვაზაგაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით აქცია გაიმართება»](#)

- [ტეგები](#)
- [აქტიური თემები](#)
- [კომენტარები](#)

[სხვადასხვა ვიდეო თვალსაზრისი კულტურა საზოგადოებაი ეკონომიკა რეგიონი პოლიტიკა გეოპოლიტიკა კომენტარები](#)

გამოწერა

[გამოიწერეთ ახალი ამბები გამოიწერეთ კომენტარები](#)

მიუთითეთ ელ-ფოსტის მისამართი: